ქ. გორი 10 აპრილი 2010 წ.

# ხელშეკრულება №12

ერთის მხრივ ს.ს.ი.პ გორის №10 საჯარო სკოლა, მისი დირექტორის გელა ჯაპარიძის სახით. /შემდგომში „შემსყიდველი"/ და მეორე მხრივ, ი/ს „ოფისცენტრი", მისი ხელმძღვანელის მალხაზ ანიაშვილის სახით /შემდგომში „მომწოდებელი"/ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველისათვის" „მომწოდებლის" საკანცელარიო ნივთების მიწოდება.

1.2. „შემსყიდველი უკვეთავს, ხოლო „მომწოდებელი" იღებს ვალდებულებას, მოთხოვნისამებრ უზრუნველყოს „შემსყიდველი" ზემოთ აღნიშნული მომსახურებით.

## 2. საქონლის მიწოდების (მომსახურების გაწევის) წესი, ვადები და ღირებულება

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის თანხა შეადგენს 176.60 ლარი. (ასამოცდათექვსმეტი ლარი 60 თეთრი)

## 3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიწოდებული საქონლისა და მიმსახურების გაწევის შემდეგ წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე.

3.2. ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. „შემსყიდველი" ვალდებულია სამუშაოს შესრულებისთანავე ეტაპობრივად გადაუხადოს „მომწოდებელს" კუთვნილი თანხა.

4.2. „მომწოდებელი" ვალდებულია, გაუწიოს ხარისხიანი და ოპერატიული მომსახურება „შემსყიდველს".

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

## 6. ხელშეკრულების პირობები ინსპექტირდება

6.1. „შემსყიდველის" წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მომწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

## 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 3 მაისამდე.

## 8. ზოგადი დებულებები

8.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები და ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

8.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნეს ორივე მხარის

წერილობითი თანხმობით.

8.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივე ტექსტს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

## 9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემკვეთსა და/ან მენარდეს შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. „ფორს-მაჟორული" გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს. იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს, გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 10. დავათა განხილვის წესი

10.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

## 11. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

სს.ი.პ გორის №10 საჯარო სკოლა

მისამართი გორი თარხნიშვილის №20

საბანკო რეკვიზიტები ს.კ. 218016741

პროკრედიტბანკის გორის ფილიალი ბ.კ 220101950 ა.ა 340801011400014

„მომწოდებელი"

ინდ. საწარმო "ოფისცენტრი"

იურ.მისამართი ქ. გორი, კოსტავას 19

ფაქტიური მისამართი ქ. გორი ჯორბენაძის 28

საბანკო რეკვიზიტები საიდ. კოდი 118043982

პროკრედიტბანკის გორის ფილიალი ბ.კ 220101950 ანგ. 468660

ბ.ა

ბ.ა